განა შესაძლებელია, რომ კაცს, რომელსაც ჩემს შესახებ ამცნობენ ჰადისს, წამოწოლილი იყოს თავის დივანზე და თქვას: "ჩვენს შორის და თქვენ შორის ალლაჰის წიგნია

გადმოცემულია მიყდაამ იბნ მა'დიქარიბისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "განა შესაძლებელია, რომ კაცს, რომელსაც ჩემს შესახებ ამცნობენ ჰადისს, წამოწოლილი იყოს თავის დივანზე და თქვას: "ჩვენს შორის და თქვენ შორის ალლაჰის წიგნია, რასაც მასში ჰალალად (ნებადართულად) ვპოულობთ, ნებადართულად მივიჩნევთ, ხოლო რასაც მასში ჰარამად (აკრძალულად) ვპოულობთ, აკრძალულად მივიჩნევთ". ჭეშმარიტად ის, რაც მოციქულმა მუჰამმადმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას აკრძალა, ისეთივე აკრძალულია, როგორც ალლაჰმა აკრძალა."

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ]

მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ახლოვდება დრო, როცა გამოჩნდება ხალხის ისეთი კატეგორია, რომელთაგან ზოგიერთი დასვენებული და თავიანთ საწოლზე მიყრდნობილი იქნება, როცა მათ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადისებს ამცნობენ, ისინი იტყვიან: „ჩვენსა და თქვენს საქმეებს შორის განმსჯელი მხოლოდ ყურანია, ის საკმარისია ჩვენთვის. რაც მასში ჰალალად (ნებადართულად) ვიპოვეთ, იმის მიხედვით ვიქცევით, და რაც მასში ჰარამად (აკრძალულად) ვიპოვეთ განვერიდეთ მისგან". მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემდეგ განმარტა, რომ ყველაფერი, რაც მან აკრძალა ან რისგანაც თავის არიდება ბრძანა თავის სუნნაში, იგივე გადაწყვეტილებას ფლობს, როგორც ალლაჰმა აკრძალა თავის წიგნში (ყურანში). ეს იმიტომ, რომ მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არის ის, ვისაც მიაქვს ღმერთის ცნობა ხალხთან.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65005